მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №22

ქ. ხონი 6 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონისN1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენაკაკაბაძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში - მიმწოდებელი) ი/მ ,,გიორგი ნატრიაშვილი,, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გიორგი ნატრიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის საქვაბის მოწყობის ხარჯთაღრიცხვის გადაანგარიშების (წარმოდგენილი მოცულობების შესაბამისად არსებული საბაზრო ფასებით და მშენებლობიბის შემფასებელთა კავშირის 2016 წლის მე-2 კვარტლის სამშენებლო რესურსების ფასების მიხედვით) მომსახურების შესყიდვა (CPV:71300000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 70 ლარს (სამოცდაათი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. ხონი.პ.კაკაბაძის ქ.N2

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1- საჯარო სკოლა ს/კ 244959808 მის. : ქ.ხონი.პ.კაკაბაძის ქ.N2 ტელ:577673608 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE50LB0121137372631000 **დირექტორი: შორენა კაკაბაძე** (ხელმოწერა)	**მიმწოდებელი:** **ი/მ „გიორგი ნატრიაშვილი„** ს/კ 60001056012 მის. ქ.ქუთაისი არაგვისპირელის ქ.N34 ტელ.: 598408020 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE69BG0000000269228500 **ხელმძღვანელი: გიორგი ნატრიაშვილი** (ხელმოწერა)

აუდიტორული დასკვნის მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

ხონი 7 ივნისი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა ი/მ "გიორგი ნატრიაშვილი"-მა და სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა შორენა კაკაბაძემ 2016 წლის 6 ივნისის ხელშეკრულების შესაბამისად შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც ი/მ "გიორგი ნატრიაშვილი" აბარებს, ხოლო სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი შორენა კაკაბაძემ იბარებს სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის გათბობის საქვაბის მოწყობის სამუშაოებზე შედგენილ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, რომლის ღირებულებაც შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს.

სამუშაოები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად და მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნიათ.

ი/მ „გიორგი ნატრიაშვილი"

60001056012

გ. ნატრიაშვილი

სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის

დირექტორი: შ. კაკაბაძე